

აქტივობების საერთაშორისო კლასიფიკაცია
დროის გამოყენების სტატისტიკისთვის

ICATUS 2016

ადიარებულია და შემოდებულია სამოქმედოდ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საბჭოს 2020 წ. 4 სექტემბრის № 12 დაგენილებით „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად.

წინამდებარე გამოცემა წარმოადგენს გაეროს სტატისტიკის განყოფილების მიერ შემუშავებული დოკუმენტის სრულ თარგმანს (შესავლის ნაწილობრივი თარგმანის გარდა და დანართების გარეშე).

აქტივობების საერთაშორისო კლასიფიკაცია დროის გამოყენების სტატისტიკისთვის (ICATUS 2016)

სარჩევი

შესავალი / მიმოხილვა.....	4
რა არის ICATUS 2016?	4
კავშირი ICATUS 2016-სა და სხვა სტატისტიკურ კლასიფიკაციებთან და შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებს შორის	5
ობიექტების / ერთეულების კლასიფიკაცია და კლასიფიკაციის კონცეფცია	6
კლასიფიკაციის კრიტერიუმები	6
კოდირებისათვის საჭირო ინფორმაცია: კონტექსტუალური ცვლადები	8
ICATUS-ის გამოყენება კოდირებისას და კლასიფიკაციის წესები.....	9
აქტივობების საერთაშორისო კლასიფიკაცია და განმარტებები დროის გამოყენების სტატისტიკისთვის – 2016	11
გლოსარიუმი	199

შესავალი / მიმოხილვა

აქტივობების საერთაშორისო კლასიფიკაცია დროის გამოყენების სტატისტიკისთვის (ICATUS) არის ყველა იმ საქმიანობის კლასიფიკაცია, რომლითაც შეიძლება ადამიანი იყოს დაკავებული დღეში 24 საათის განმავლობაში. მისი მიზანია გახდეს დროის გამოყენების სტატისტიკის სტანდარტული ჩარჩო, რომელიც ემყარება გარკვეული პრინციპით დაჯგუფებულ საქმიანობებს.

ICATUS წარმოადგენს დროის გამოყენების საერთაშორისო დონეზე შესადარი სტატისტიკური მაჩვენებლების გავრცელების საფუძველს სტანდარტიზებული კონცეფციებითა და განმარტებებით, იმის მიუხედავად, თუ რა ტიპის ინსტრუმენტებია გამოყენებული მონაცემთა შეგროვებისთვის. ICATUS შეიძლება გამოყენებული იქნეს დროის გამოყენების შესახებ მონაცემების შეგროვების სახელმძღვანელოდ, ან შეიძლება მისი ადაპტირება ეროვნულ კლასიფიკაციებად, რომელშიც ასახული იქნება ეროვნული კონტექსტი და საჭიროებები.

ICATUS შეიქმნა საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული კონცეფციების, განმარტებებისა და პრინციპების საფუძველზე, დროის და სხვა სოციალური და ეკონომიკური სტატისტიკის თანამიმდევრულობისა და საერთაშორისო შესადარისობის გასაუმჯობესებლად. დროის გამოყენების სანდო სტატისტიკურ მონაცემებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ (ა) ცხოვრების ხარისხის ან ზოგადი კეთილდღეობის გაზომვისა და ანალიზისთვის; ბ) სამუშაოს ყველა ფორმის უფრო ყოვლისმომცველი გაზომვისთვის, მათ შორის ანაზღაურების გარეშე სამუშაოს და არასაზღაურო წარმოებისა და შინამეურნეობის წარმოების ანგარიშების შემუშავებისთვის; და (გ) მონაცემთა საწარმოებლად საჯარო პოლიტიკის გენდერული ანალიზისთვის. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ICATUS-ის კავშირი და თავსებადობა ეროვნული ანგარიშების სისტემასთან (SNA) და შრომის სტატისტიკოსთა საერთაშორისო კონფერენციის (ICLS) განსაზღვრებებთან.

გარდა ამისა, ICATUS მნიშვნელოვან როლს შეასრულებს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) და მაჩვენებლების მისაღწევად პროგრესის მონიტორინგისთვის, 5.4 მიზნის ჩათვლით, რომელიც ითვალისწინებს ანაზღაურებ ის გარეშე სამუშაოებისა და მოვლის აღიარებასა და შეფასებას.

რა არის ICATUS 2016?

აქტივობების საერთაშორისო კლასიფიკაცია დროის გამოყენების სტატისტიკისთვის 2016 (ICATUS 2016) არის ყველა არსებული სახის საქმიანობის სამდონიანი იერარქიის მქონე კლასიფიკაცია (შედგება ძირითადი განყოფილებების, განყოფილებებისა და ჯგუფებისგან), რომლითაც დაკავებულია მოსახლეობა დღეში 24 საათის განმავლობაში. კლასიფიკაციის მიზანია შექმნას საფუძველი სხვადასხვა ქვეყნებში და დროის სხვადასხვა ჭრილში დროის გამოყენების მნიშვნელოვანი და შესადარი სტატისტიკის შესაქმნელად.

ICATUS შეიქმნა სტატისტიკური კლასიფიკაციების პრინციპებისა და კარგი კლასიფიკაციის მახასიათებლების შესაბამისად, როგორც ეს რეკომენდებულია გაეროს საერთაშორისო სტატისტიკური კლასიფიკაციების ექსპერტთა ჯგუფის მიერ და განმარტებულია შემდგომ პუნქტებში:

ურთიერთგამომრიცხავი და ამომწურავი კატეგორიები: ICATUS გამოიყენება თითოეული აქტივობის დაჯგუფებისთვის კლასიფიკაციის მხოლოდ ერთ კატეგორიაში დუბლირების ან გამოტოვების გარეშე. თითოეული კატეგორიის აღწერაში მითითებულია, თუ რას უნდა შეიცავდეს ან არ შეიცავდეს იგი. დროის გამოყენების გამოკვლევებისას შეგროვებული კონტექსტური ცვლადების (განმარტება იხ. ქვემოთ) გამოყენება დამატებით ინფორმაციას

გვაწვდის აქტივობის სწორად კლასიფიკაციისთვის. მაგალითად, დამატებითი ინფორმაცია მწარმოებლური საქმიანობის მიზნის (კონტექსტური ცვლადის) შესახებ დაგვეხმარება „ანაზღაურების ან მოგების მიღების მიზნით“ შესრულებულ საქმიანობასა და „საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის განკუთვნილი“ საქმიანობას შორის განსხვავების დადგენაში.

სხვა შესაბამის (ეროვნულ და საერთაშორისო) სტანდარტულ კლასიფიკაციებთან შედარებითობა: ICATUS-ის შექმნისას გამოყენებული იყო დროის გამოყენების სტატისტიკასა და მასთან დაკავშირებულ კლასიფიკაციებთან დაკავშირებული საერთაშორისო, რეგიონული და ქვეყნების გამოცდილება (იხ. ნაწილი IV ქვემოთ). კატეგორიები, რომლებიც შედის ICATUS-ის თანდართულ ვერსიაში, შედარებულია ICATUS-ის საცდელ ვერსიასთან და სხვა კლასიფიკაციებთან. ეს უზრუნველყოფს კლასიფიკაციის მოქმედი და წინა ვერსიების დროში შედარებითობას.

კატეგორიები სტაბილურია: ICATUS შეიქმნა უახლესი სტატისტიკური ცნებებისა და სტანდარტების შესაბამისად. ითვლება, რომ არსებული კატეგორიები უცვლელი დარჩება, სანამ აუცილებელი არ გახდება მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური სიახლეების ასახვა.

კატეგორიები კარგად არის აღწერილი: ICATUS კატეგორიებს აქვთ სტანდარტული ფორმატის სათაურები და მათ განმარტებებში ნათლად არის განმარტებული, თუ რომელ საქმიანობებს უნდა მოიცავდეს და რომელი უნდა გამოირიცხოს. კლასიფიკაცია გამყარებულია საჭირო დოკუმენტაციით.

კატეგორიები რაოდენობრივად კარგადა დაბალანსებული (ანუ არც ჭარბადაა და არც მწირი კატეგორიებითაა წარმოდგენილი). ICATUS შესდგება 165 ჯგუფისგან, რომლებიც კლასიფიცირებულია 56 განყოფილებად და 9 ძირითად განყოფილებად და წარმოადგენენ მართვადი რაოდენობის კატეგორიებს, რაც აადვილებს კლასიფიკაციის გამოყენებას.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპი და მახასიათებელი უზრუნველყოფს ICATUS-ის **სტატისტიკურ მიზანშეწონილობას**, რაც ნიშნავს, რომ შესაძლებელია ეფექტურად, ზუსტად და თანამიმდევრულად განვასხვაოთ კატეგორიები ერთმანეთისგან არსებული ინფორმაციის საფუძველზე. დამატებით, სტატისტიკური მიზანშეწონილობის კიდევ უფრო უკეთ უზრუნველსაყოფად, ICATUS 2016 ტესტირება ჩატარდა მთელ რიგ ქვეყნებში დროის გამოყენების არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით.

ძირითადი პრინციპი, რომელსაც ICATUS იყენებს აქტივობების კლასიფიკაციისას, არის ის, რომ ყოველდღიური საქმიანობა შეიძლება დაიყოს კატეგორიებად, რომლებიც ეკონომიკური თვალსაზრისით წარმოადგენს მწარმოებლურ და პირადი დანიშნულების ანუ „არამწარმოებლურ“ საქმიანობებს. ამის შედეგად მიღებული სტრუქტურა უჩვენებს საშუალოდ დახარჯულ დროს სამუშაოს ყველა ფორმაზე და ასევე იმ დროს, რომელსაც ადამიანები ხარჯავენ პირადი მიზნებისთვის, რაც საშუალებას გვაძლევს მივიღოთ სტატისტიკური მონაცემები სწავლის, სოციალიზაციის, ვარჯიშის და მოსახლეობის ზოგადი კეთილდღეობის განმსაზღვრელი მრავალი სხვა საქმიანობის შესახებ.

კავშირი ICATUS 2016-სა და სხვა სტატისტიკურ კლასიფიკაციებსა და შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებს შორის

ICATUS შექმნილია ისე, რომ შეესაბამებოდეს არსებულ საერთაშორისო სტანდარტებსა და კლასიფიკაციებს.

- ა) აქტივობების განსაზღვრა მათი საწარმოო სტატუსის მიხედვით შეესაბამება 2008 წლის ეროვნული ანგარიშების სისტემას.

ბ) შრომის სტატისტიკოსების მე-19 საერთაშორისო კონფერენციის (ICLS) მიერ 2013 წლის ოქტომბერში მიღებული რეზოლუცია შრომის, დასაქმებისა და შრომის არასასრულად გამოყენების სტატისტიკის შესახებ ასევე გამოყენებული იქნა მწარმოებლური საქმიანობის კლასიფიკაციისთვის.

გ) საქმიანობების განმარტებები და კატეგორიები შეესაბამება სტანდარტულ ეკონომიკურ კლასიფიკაციებს, როგორცაა ყველა სახის ეკონომიკური საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტული დარგობრივი კლასიფიკაცია (ISIC გადახედვა 4).

ობიექტების / ერთეულების კლასიფიკაცია და კლასიფიკაციის კონცეფცია

ICATUS მიზნად ისახავს ყველა იმ აქტივობის სტანდარტულ კლასიფიკაციას, რომლებითაც შეიძლება ადამიანი იყოს დაკავებული 24 საათის განმავლობაში. აქტივობა განისაზღვრება, როგორც პირთა მიერ შესრულებული ამოცანები. დროის ერთეულები გამოიყენება გარკვეულ საქმიანობაზე დახარჯული დროის სტატისტიკის საწარმოებლად.

ადამიანს შეუძლია ერთდროულად დაკავდეს ორი ან მეტი საქმიანობით, რომელსაც ასევე უწოდებენ ერთდროულ საქმიანობებს. კლასიფიკაციის გამოყენებისას ქვეყნებმა უნდა განსაზღვრონ, როგორ უნდა მოხდეს საქმიანობების აღრიცხვა და კოდირება. როდესაც სხვადასხვა სახის საქმიანობა ერთდროულად სრულდება, ქვეყნებს აქვთ არჩევანის უფლება აღრიცხოვნ მხოლოდ ერთი (ძირითადი ან პირველადი საქმიანობა) ან ორივე აქტივობა კვლევის მიზნების შესაბამისად.

კლასიფიკაციის კრიტერიუმები

კლასიფიკაციის მთავარი კრიტერიუმი, რომელიც გამოყენებულია ICATUS-ის აგებისას, არის საქმიანობის „მწარმოებლური“ ხასიათი. ყოველდღიური საქმიანობის დაყოფა შესაძლებელია იმ კატეგორიებად, რომლებიც ითვლება მწარმოებლურად და „არამწარმოებლურად“ (საქმიანობა პირადი მიზნებისთვის) ეკონომიკური/ეროვნული ანგარიშების სისტემის თვალსაზრისით. ითვლება, რომ საქმიანობა მწარმოებლურია ან იმყოფება „წარმოების ზოგად საზღვრებში“, თუ ის აკმაყოფილებს მესამე პირის კრიტერიუმს (საქმიანობა შეიძლება გადაეცეს სხვა პირს და იგივე სასურველი შედეგები გამოიღოს).

მწარმოებლური საქმიანობა შეიძლება დაიყოს ორ ტიპად:

- ა) ეროვნული ანგარიშების სისტემის წარმოების საზღვრებში;
- ბ) ეროვნული ანგარიშების სისტემის წარმოების საზღვრებს გარეთ, მაგრამ წარმოების ზოგად საზღვრებში (არა-SNA წარმოება).

საქმიანობა ეროვნული ანგარიშების სისტემის წარმოების საზღვრებში უფრო შეზღუდულია, ვიდრე წარმოების ზოგად საზღვრებში და მოიცავს მხოლოდ:

- ა) საქონლისა და მომსახურების წარმოებას, რომელიც მიეწოდება სხვა ერთეულებს (გარდა მათი მწარმოებლისა);
- ბ) ყველა საქონლის საკუთარი მოხმარებისთვის წარმოებას, რომელიც მწარმოებლებს რჩება საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის ან ძირითადი კაპიტალის ფორმირებისთვის;
- გ) ცოდნის რეალიზების შედეგად წარმოებული პროდუქტის საკუთარი მოხმარებისთვის წარმოება, რომელიც მათ მწარმოებლებს რჩება საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის ან

ძირითადი კაპიტალის ფორმირებისთვის, მაგრამ გამორიცხავს (შეთანხმების საფუძველზე) შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისთვის წარმოებულ პროდუქტებს;

დ) საკუთარ საცხოვრისში მცხოვრებთა მიერ საბინაო მომსახურების საკუთარი მოხმარებისთვის წარმოება;

ე) საშინაო და პირადი მომსახურების წარმოება დაქირავებული საშინაო პერსონალის დახმარებით.

არა-SNA წარმოება წარმოების ზოგად საზღვრებში მოიცავს შინამეურნეობის წევრების მიერ საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის მომსახურების წარმოებას.

დამატებით, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შრომის სტატისტიკის ჩარჩო იქნა გამოყენებული მწარმოებლური საქმიანობის შემდგომი კლასიფიცირების საფუძველად. სამუშაო მოიცავს ნებისმიერ საქმიანობას, რომელსაც ახორციელებენ ნებისმიერი სქესის და ასაკის პირები საქონლის საწარმოებლად ან მომსახურების გასაწევად სხვებისთვის ან საკუთარი მოხმარებისთვის.

დადგინდა სამუშაოს ხუთი ფორმა:

ა) საკუთარი მოხმარებისთვის განკუთვნილი საწარმოო სამუშაოები (საქონელი და მომსახურება საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის; წარმოებული პროდუქტის დანიშნულება ძირითადად მწარმოებლის მიერ საბოლოო მოხმარებაა კაპიტალის ფორმირების სახით, ან შინამეურნეობის წევრების ან სხვა შინამეურნეობებში მცხოვრები ოჯახის წევრების მიერ საბოლოო მოხმარება. შინამეურნეობები; სოფლის მეურნეობის, თევზაობის, ნადირობის ან ძირითადად საკუთარი მოხმარებისთვის განკუთვნილი საქონლის შეგროვების შემთხვევაში, შესაძლებელია ჭარბი პროდუქტის გაყიდვა ან გაცვლა);

ბ) დასაქმება (საქონლის წარმოება ან მომსახურების გაწევა ანაზღაურების ან მოგების მიღების მიზნით);

გ) ანაზღაურების გარეშე სტაჟირება (ანაზღაურების გარეშე ნებისმიერი საქმიანობა საქონლის წარმოების ან სხვებისთვის მომსახურების გაწევის მიზნით, სამუშაო ადგილზე გამოცდილების ან უნარ-ჩვევების შეძენის მიზნით ხელობის ან პროფესიის სახით);

დ) მოხალისეობრივი სამუშაო (ნებისმიერი ანაზღაურების გარეშე, არასავალდებულო საქმიანობა სხვებისთვის საქონლის წარმოების ან მომსახურების გაწევისთვის);

ე) სამუშაოს სხვა ფორმები, მაგალითად, ანაზღაურების გარეშე საზოგადოებრივი სამსახური და პატიმრების სამუშაო ანაზღაურების გარეშე, სასამართლოს ან მსგავსი ორგანოს ბრძანებით, და ანაზღაურების გარეშე სამხედრო ან ალტერნატიული სამოქალაქო სამსახური, რომელიც გაზომვის მიზნით შეიძლება შეფასდეს, როგორც სამუშაოს განსხვავებული ფორმა (როგორცაა სხვებისთვის ანაზღაურების გარეშე შესრულებული სავალდებულო სამუშაოები).

პირადი საქმიანობა, ისევე როგორც საცდელ ვერსიაში, კლასიფიცირდება საქმიანობის ხასიათის მიხედვით (მაგალითად, სწავლა, სოციალიზაცია და ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება).

ამ კრიტერიუმების საფუძველზე აქტივობები 9 მთავარ განყოფილებაში დაჯგუფდა: პირველი 5 მოიცავს სხვადასხვა საწარმოო საქმიანობასა და მუშაობის ფორმებს, ხოლო დანარჩენი 4 პერსონალურ საქმიანობას მოიცავს.

ძირითადი ჯგუფი	აქტივობა
1	დასაქმება და მასთან დაკავშირებული აქტივობები
2	საქონლის წარმოება საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის
3	შინამეურნეობის და ოჯახის წევრებისთვის გაწეული ანაზღაურების გარეშე საოჯახო საქმიანობა
4	ანაზღაურების გარეშე მოვლის მომსახურება შინამეურნეობისთვის და ოჯახის წევრებისთვის
5	ანაზღაურების გარეშე მოხალისედ, სტაჟიორად მუშაობა და სხვა ანაზღაურების გარეშე შრომა
6	სწავლა
7	სოციალიზაცია და კომუნიკაცია, სათემო ჩართულობა და რელიგიური წეს-ჩვეულებების აღსრულება
8	კულტურულ, დასვენების, მასმედიის და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა
9	საკუთარ თავზე ზრუნვა და მოვლა

კოდირებისათვის საჭირო ინფორმაცია: კონტექსტუალური ცვლადები

ICATUS-ის მიხედვით აქტივობების სწორად კლასიფიცირებისთვის აუცილებელია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია კონტექსტის შესახებ, რომელშიც ხორციელდება კონკრეტული აქტივობის (კლასიფიკაციის ობიექტი). ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრაზე 2012 წელს ექსპერტებმა დაადგინეს ოთხი „ძირითადი“ კონტექსტუალური ცვლადი, რომლებიც უნდა შეგროვდეს:

- ა) „ვისთვის“ სრულდება აქტივობა
- ბ) არის თუ არა ეს აქტივობა „ანაზღაურებადი ან მოგების სანაცვლოდ“ (ბაზრისთვის განკუთვნილი)
- გ) „ვისთან ერთად“ სრულდება ეს აქტივობა
- დ) ადგილი, სადაც სრულდება აქტივობა

გარდა ამისა, მოპოვებული უნდა იქნეს ინფორმაცია, გამოყენებული იყო თუ არა ამ აქტივობის შესრულებისას ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.

ვისთვის: კონტექსტუალური ცვლადი „ვისთვის“, მაგალითად, საჭიროა შინამეურნეობებში ანაზღაურების გარეშე სამუშაოს (საკუთარი/ოჯახის უზრუნველყოფა მომსახურებით) და შინამეურნეობების გარეთ ანაზღაურების გარეშე სამუშაოს, როგორიცაა მოხალისეობრივი საქმიანობა, იდენტიფიცირებისთვის. მაგალითად, ანაზღაურების გარეშე საშინაო და მოვლის მომსახურებები დაჯგუფებულია სხვადასხვა ძირითად განყოფილებაში, იმის მიხედვით, ეს აქტივობა განკუთვნილია საკუთარი შინამეურნეობის წევრებისთვის თუ სხვებისთვის.

ანაზღაურებადი/ანაზღაურების გარეშე¹: იმისათვის, რომ განასხვავოთ დასაქმება მოხალისეობრივი საქმიანობისგან, მაგალითად, საჭიროა კონტექსტუალური ცვლადი აქტივობის ეკონომიკური მიზნის იდენტიფიცირებისთვის (აქტივობა ანაზღაურებადია თუ ანაზღაურების გარეშე).

ვისთან ერთად: მეგობართან ერთად რესტორანში სადილობა უნდა კლასიფიცირდეს როგორც სოციალიზაცია, მაგრამ სადილობა ბიზნეს პარტნიორთან ერთად შეიძლება იყოს დაკავშირებული სამსახურთან (მაგალითად, ბიზნეს შეხვედრა სადილზე შესვენების დროს).

მდებარეობა: მდებარეობის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ზოგადი დახასიათების სახით, თუ სად იმყოფებიან რესპონდენტები (სახლი, სამსახური, სკოლა და ა.შ.). თუ ისინი მოგზაურობენ, მდებარეობა უნდა განისაზღვროს სამგზავრო ტრანსპორტის მიხედვით (ავტომობილით, ქვეითად, ავტობუსით).

ICATUS-ის გამოყენება კოდირებისას და კლასიფიკაციის წესები

ICATUS 2016 აქტივობებს აჯგუფებს სამ დონეზე:

- ა) პირველი დონე, ერთციფრიანი კოდი ანუ „ძირითადი განყოფილება“ წარმოადგენს აქტივობების ყველაზე ნაკლებად დეტალიზებულ ანუ ყველაზე მსხვილ ჯგუფს
- ბ) მეორე დონე, ორციფრიანი კოდი ანუ „განყოფილება“ წარმოადგენს უფრო დეტალიზებულ აქტივობებს, ვიდრე ზედა დონე
- გ) მესამე დონე, სამნიშნა კოდი ანუ „ჯგუფი“ ითვლება კლასიფიკაციის ყველაზე დეტალიზებულ დონედ, სადაც აქტივობები დეტალურადაა აღწერილი მათი სპეციფიკის გათვალისწინებით

აქტივობების კოდირება ხდება ყველაზე დეტალურ დონეზე (ჯგუფი). განყოფილებებში, სადაც უფრო დეტალური ჩაშლა არ ხდება სამნიშნა ჯგუფებად, სამნიშნა კოდის მისაღებად ორნიშნა კოდს ემატება ნული (0).

¹ „ანაზღაურების გარეშე“ განიმარტება, როგორც ნაღდი ფულით ან ნატურით ანაზღაურების არარსებობა შესრულებული სამუშაოსთვის ან ნამუშევარი საათებისთვის; მიუხედავად ამისა, ამ მუშაკებმა შეიძლება მიიღონ რაიმე ფორმის მხარდაჭერა, როგორიცაა საგანმანათლებლო სტიპენდიების ან გრანტების ტრანსფერები, ან პერიოდული დახმარება ნაღდი ფულით ან ნატურით (მაგალითად, საკვები, სასმელი, მგზავრობა).

წესები, რომლებიც ქვეყნებმა უნდა დაიცვან აქტივობების კოდირებისას

წესი 1.	კოდირება ხდება სამციფრიან დონემდე აქტივობების კოდირების ინდექსის შესაბამისად.		
წესი 2.	თუ აქტივობა საკმარისად კარგადაა აღწერილი იმისთვის, რომ მისი კოდირება სამნიშნა დონეზე მოხდეს, მაგრამ შესაბამისი სამნიშნა კოდი ვერ მოიძებნა, გამოიყენეთ სამნიშნა კოდი „სხვა აქტივობებისთვის“ („სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი), რომელიც როგორც წესი მთავრდება ციფრით „9“. თუ ეს კონკრეტული აქტივობა ხშირად გხვდებათ, შესაძლებელია ახალი კოდის დამატება ICATUS-ის ეროვნულ ადაპტირებულ ვერსიაში.		
წესი 3.	თუ აქტივობა არ არის საკმარისად კარგად აღწერილი და არ არსებობს საკმარისი ინფორმაცია შესაბამისი სამნიშნა კოდის შესარჩევად:	წესი 3ა	თუ საკმარისი ინფორმაციაა ორნიშნა დონეზე კოდირებისთვის, მაშინ კოდს მესამე დონეზე დაამატეთ ნიშანი „x“, რომელსაც შეესაბამება კატეგორია „არასრულად განსაზღვრული“ (n.f.d.) ჯგუფის დონეზე.
		წესი 3ბ	თუ არასაკმარისი ინფორმაციაა ორნიშნა ანუ განყოფილების დონეზე კოდირებისთვის, მაშინ დაამატეთ კატეგორია „არასრულად განსაზღვრული“ (n.f.d.) განყოფილების დონეზე.
		წესი 3გ	თუ არასაკმარისი ინფორმაციაა რომელიმე კონკრეტული კატეგორიის შერჩევისთვისაც კი, გამოიყენეთ კოდი „999“.

აქტივობების საერთაშორისო კლასიფიკაცია და განმარტებები დროის გამოყენების სტატისტიკისთვის – 2016

PID	ID	CID	სახელწოდება	განმარტება	შეიცავს	გამორიცხავს	მაგალითები
1			დასაქმება და მასთან დაკავშირებული აქტივობები	გულისხმობს დასაქმებას, რომელიც განისაზღვრება როგორც საქონლის წარმოების ან მომსახურების გაწევის აქტივობა ანაზღაურების ან მოგების მიღების მიზნით ან სხვა აქტივობები, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია დასაქმებასთან. – „ანაზღაურება ან მოგება“ გულისხმობს სამუშაოს, რომელიც შესრულებულია, როგორც გარიგების ნაწილი, რომლის სანაცვლოდაც პირი იღებს ხელფასს ან ანაზღაურებას იმ დროისთვის, რაც მან იმუშავა ან შესრულებული სამუშაოსთვის, ან მოგების ფორმით, რომელიც მიღებულია საქონელზე ან მომსახურებაზე საბაზრო გარიგების შედეგად, რომელიც განსაზღვრულია დასაქმებასთან დაკავშირებული შემოსავლის შესახებ უახლესი საერთაშორისო სტატისტიკური სტანდარტებით. – (ა) ანაზღაურება შეიძლება იყოს ნაღდი ფულით ან ნატურით, რეალურად მიღებულია ის თუ არა, და ასევე შეიძლება შედგებოდეს დამატებითი კომპონენტებისგან ნაღდი ფულის ან ნატურის სახით. – (ბ) ანაზღაურების გადახდა შეიძლება პირდაპირ იმ პირისთვის, ვინც სამუშაო შეასრულა ან შინამეურნეობისთვის ან ოჯახის წევრისთვის (წყარო: შრომის	– 11 დასაქმება კორპორაციებში, სამთავრობო და არასამთავრობო დაწესებულებებში – 12 დასაქმება ოჯახურ საწარმოებში საქონლის წარმოების მიზნით – 13 დასაქმება შინამეურნეობებში ან ოჯახურ საწარმოებში მომსახურების გაწევის მიზნით – 14 დასაქმებასთან დაკავშირებული დამხმარე აქტივობები და შესვენებები – 15 დასაქმებასთან დაკავშირებული გადამზადება და სწავლა – 16 სამუშაოს ძებნა – 17 ბიზნესის შექმნა – 18 დასაქმებასთან დაკავშირებული მოგზაურობა და ყოველდღიური მგზავრობა – როგორც თვითდასაქმების, ისე ანაზღაურების გარეშე სამუშაოს დროს ეკონომიკური აქტივობის ყველა სახეობა	– 2 საქონლის წარმოება საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის – 3 შინამეურნეობის და ოჯახის წევრებისთვის გაწეული ანაზღაურების გარეშე საოჯახო საქმიანობა – 4 ანაზღაურების გარეშე მოვლის მომსახურება შინამეურნეობის და ოჯახის წევრებისთვის – 5 ანაზღაურების გარეშე მოხალისედ, სტაჟიორად მუშაობა და სხვა ანაზღაურების გარეშე შრომა	

PID	ID	CID	სახელწოდება	განმარტება	შეიცავს	გამორიცხავს	მაგალითები
				სტატისტიკოსების მე-19 საერთაშორისო კონფერენცია, პუნქტები 7b და 27 და 28) – დაკავშირებული აქტივობები მოიცავს დასაქმებისთვის მგზავრობას და ტრანსპორტით გადაადგილებას, სამუშაოს, სამუშაოსთან დაკავშირებული ტრენინგის და სწავლის დროს შესვენებას, სამსახურის ძებნას და სხვა აქტივობებს, რომელიც სცდება სამუშაო დროს. – 11, 12 და 13 პუნქტებში ჩამოთვლილი აქტივობები შეესაბამება სამსახურებრივი დავალებებისა და მოვალეობების შესასრულებლად დახარჯულ დროს და განსაზღვრულია როგორც „პირდაპირი საათები“ შრომის სტატისტიკოსების მე-18 საერთაშორისო კონფერენციის მიერ სამუშაო დროის გაზომვის შესახებ მიღებული რეზოლუციის (2008) 11.(2)(a) პუნქტში.			
1	11		დასაქმება კორპორაციებში, სამთავრობო და არასამთავრობო დაწესებულებებში	იხილეთ ჯგუფი 110			
1	11	110	დასაქმება კორპორაციებში, სამთავრობო და არასამთავრობო	გულისხმობს დროს, რომელიც დაიხარჯა კორპორაციებში, სამთავრობო და შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციულ ორგანიზაციებში (NPISH)	– ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ პროდუქციის წარმოების ან მომსახურებით უზრუნველყოფის	– 12 დასაქმება ოჯახურ საწარმოებში საქონლის წარმოების მიზნით	– ბიზნეს შეხვედრა სადილზე შესვენების დროს – შეხვედრა ბიზნეს პარტნიორთან

PID	ID	CID	სახელწოდება	განმარტება	შეიცავს	გამორიცხავს	მაგალითები
			დაწესებულებებში	პროდუქციის წარმოების ან მომსახურების გაწევის პირდაპირ აქტივობებზე. – კორპორაციები, სამთავრობო და არა-სამთავრობო ორგანიზაციები განიმარტება ისე, როგორც ეროვნული ანგარიშების სისტემაში. ეს არის იურიდიული პირები, რომლებიც შეიქმნა წარმოების მიზნით, ძირითადად კორპორაციები და შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციები (NPISH), ან პოლიტიკური პროცესების შედეგად შექმნილი უწყებები, კონკრეტულად კი სამთავრობო უწყებები. – კორპორაციები არის ინსტიტუციური ერთეულები, რომლებიც არსებით მონაწილეობას იღებენ საბაზრო პროდუქციის ან მომსახურების წარმოებაში. – მთავრობა შედგება ინსტიტუციური ერთეულებისგან, რომლებიც, პოლიტიკური ვალდებულების შესრულებასთან და ეკონომიკური რეგულირების ფუნქციასთან ერთად, აწარმოებენ მომსახურებას (და შესაძლებელია საქონელსაც) ინდივიდუალური ან კოლექტიური მოხმარებისთვის ძირითადად არასაბაზრო საფუძველზე და ეწევიან შემოსავლებისა და სიმდიდრის გადანაწილებას – შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციები (NPISH) ძირითადად ჩაბმული არიან	აქტივობები კორპორაციებში, სამთავრობო და შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციულ ორგანიზაციებში (NPISH). – პროდუქციის წარმოებასთან ან მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული აქტივობები კოოპერატივებში, მცირე მეწარმეთა კომპანიებში და მიკროსაწარმოებში და ა.შ., რომლებიც არიან „ინკორპორირებული საწარმოები“. – ახალი თანამშრომლების გამოსაცდელი ვადა. – ზეგანაკვეთური სამუშაო. – სახლში წაღებული სამუშაო.	– 13 დასაქმება შინამეურნეობებში და ოჯახურ საწარმოებში მომსახურების გაწევის მიზნით – 14 დასაქმებასთან დაკავშირებული დამხმარე აქტივობები და შესვენებები – 15 დასაქმებასთან დაკავშირებული გადამზადება და სწავლა – 16 სამუშაოს ძებნა – 17 ბიზნესის შექმნა – 18 სამუშაოსთან დაკავშირებული მგზავრობა და ყოველდღიური გადაადგილება	სამუშაო საათების შემდეგ – სამუშაო სადილი კოლეგებთან – სამსახურთან დაკავშირებული სატელეფონო ზარი, რომელიც შესრულდა სახლიდან – სტუდენტის მუშაობა ან კონტრაქტით დადგენილი საქმიანობა, რომელიც სრულდება ანაზღაურების ან მოგების მიზნით – შემთხვევა სამუშაოზე – კორპორაციისთვის სახლიდან მომუშავე ანამშრომელი – ქარხანაში დასაქმებულის წარმოებული საქონელი – კოოპერატივში დასაქმებულის

PID	ID	CID	სახელწოდება	განმარტება	შეიცავს	გამორიცხავს	მაგალითები
				შინამეურნეობებისთვის ან ზოგადად საზოგადოებისთვის არასაბზრო მომსახურების წარმოებაში, და რომელთა ძირითადი რესურსი არის ნებაყოფლობითი შემოწირულობები (წყარო: SNA 2008 – ეროვნულ ანგარიშთა სისტემა 2008, პუნქტი 2.17)			წარმოებული რძე და რძის ნაწარმი
1	12		დასაქმება ოჯახურ საწარმოებში საქონლის წარმოების მიზნით	გულისხმობს იმ დროს, რომელიც დაიხარჯა ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ საქონლის წარმოების პირდაპირ აქტივობებზე შინამეურნეობის არაკორპორირებულ საბაზრო საწარმოებში. – შინამეურნეობის არაკორპორირებული საბაზრო საწარმოები იქმნება საქონლის ან მომსახურების წარმოების მიზნით, რომელიც ბაზარზე უნდა გაიყიდოს ან ბარტერით გაიცვალოს. ისინი შეიძლება მონაწილეობას იღებდნენ ნებისმიერი სახის აქტივობაში: სოფლის მეურნეობა, სამთომოპოვებითი და დამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა (12 დასაქმება ოჯახურ საწარმოში საქონლის წარმოების მიზნით), საცალო ვაჭრობა ან სხვა სახის მომსახურების წარმოება (13 დასაქმება შინამეურნეობაში ან ოჯახურ საწარმოში მომსახურების გაწევის მიზნით). ეს შეიძლება მერყეობდეს ალკეული ადამიანიდან, რომელიც ქუჩაში ვაჭრობს ან ფეხსაცმელს წმენდს, რომელსაც არ გააჩნია არავითარი კაპიტალი ან საკუთარი ფართი დიდ სამრეწველო, სამშენებლო ან	– ყველა აქტივობა განხორციელებული ოჯახურ საწარმოებში საქონლის წარმოებისთვის, რომელიც ძირითადად ბაზრისთვის არის განკუთვნილი, როგორიცაა: – 121 სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანა ბაზრისთვის ოჯახურ საწარმოებში – 122 შინაური ცხოველების გამოზრდა ბაზრისთვის ოჯახურ საწარმოებში – 123 მეტყევეობა და ხე-ტყის დამზადება ბაზრისთვის ოჯახურ საწარმოებში – 124 მეთევზეობა ბაზრისთვის ოჯახურ საწარმოებში – 125 აკვაკულტურა ბაზრისთვის ოჯახურ საწარმოებში	– 11 დასაქმება კორპორაციებში, სამთავრობო და არასამთავრობო დაწესებულებებში – 13 დასაქმება შინამეურნეობებში ან ოჯახურ საწარმოებში მომსახურების გაწევის მიზნით – 14 დასაქმებასთან დაკავშირებული დამხმარე აქტივობები და შესვენებები – 15 დასაქმებასთან დაკავშირებული გადამზადება და სწავლა – 16 დასაქმების ძებნა – 17 ბიზნესის შექმნა – 18 სამუშაოსთან დაკავშირებული მოგზაურობა და მგზავრობა	

PID	ID	CID	სახელწოდება	განმარტება	შეიცავს	გამორიცხავს	მაგალითები
				მომსახურების გამწევ საწარმომდე მრავალი დასაქმებულით. (წყარო: SNA 2008 პუნქტი 4.155) – შინამეურნეობის არაკორპორირებული საბაზრო საწარმო ასევე მოიცავს არაკორპორირებულ პარტნიორობებს, რომლებიც მონაწილეობას იღებენ საქონლის ან მომსახურების წარმოებაში ბაზარზე გაყიდვის ან ბარტერით გაცვლის მიზნით. პარტნიორობები შეიძლება იყვნენ სხვადასხვა შინამეურნეობის წარმომადგენლები. (წყარო: SNA 2008 პუნქტი 4.156) ამ ნაწილში იგულისხმებიან ადამიანები, რომლებიც მუშაობენ ხელფასის ან მოგების სანაცვლოდ, რომლის გადახდა ხდება შინამეურნეობისთვის ან ოჯახისთვის: (i) საბაზრო ერთეულებში, რომლებსაც მართავს ოჯახის წევრი, რომელიც იმავე ან სხვა შინამეურნეობაში ცხოვრობს; (ii) დასაქმებული ოჯახის წევრის მიერ სამუშაოს ამოცანების და ვალდებულებების შესრულება, რომელიც იმავე ან სხვა შინამეურნეობაში ცხოვრობს; (წყარო: შრომის სტატისტიკოსების მე-19 საერთაშორისო კონფერენცია, პუნქტი 30f) – ეს ნაწილი გულისხმობს მხოლოდ ბაზრისთვის საქონლის წარმოებას. – ეს ნაწილი მოიცავს რესპონდენტის მიერ დროის გარკვეულ მონაკვეთში განხორციელებულ აქტივობებს, რომლებიც	– 126 სამთომოპოვებითი მრეწველობა ბაზრისთვის ოჯახურ საწარმოებში – 127 საქონლის დამზადება და გადამუშავება ბაზრისთვის ოჯახურ საწარმოებში – 128 სამშენებლო საქმიანობა ბაზრისთვის ოჯახურ საწარმოებში – 129 ოჯახურ საწარმოებში საქონლის საწარმოებლად დასაქმებასთან დაკავშირებული სხვა აქტივობები	– 2 საქონლის წარმოება საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის	

PID	ID	CID	სახელწოდება	განმარტება	შეიცავს	გამორიცხავს	მაგალითები
				შესაძლებელია განსხვავდებოდეს იმ დაწესებულების ძირითადი საქმიანობისგან, სადაც ის მუშაობს.			
1	12	121	სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანა ბაზრისთვის ოჯახურ საწარმოებში	გულისხმობს სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების (მოყვანა და მოსავლის აღება) აქტივობებს ოჯახურ საწარმოში, რომელიც ძირითადად გამიზნულია ბაზრისთვის. ეს ჯგუფი ასევე მოიცავს მომსახურების სფეროს, რომელიც დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანასთან, როგორიცაა სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი მომსახურება და მოსავლის აღების შემდგომი აქტივობები, როგორიცაა მინდვრების მომზადება, ხეების გასხლვა, მოსავლის აღება, სოფლის მეურნეობის პროდუქტების მომზადება პირველადი ბაზრისთვის მომზადებასთან დაკავშირებული საქმიანობები (გასუფთავება, დახარისხება, დეზინფექცია) და ა.შ. ითვალისწინებს მეურნეობას, ბაღს, ბოსტანს. – ეს ჯგუფი მოიცავს რესპონდენტის მიერ დროის გარკვეულ მონაკვეთში განხორციელებულ აქტივობებს, რომლებიც შესაძლებელია განსხვავდებოდეს იმ დაწესებულების ძირითადი საქმიანობისგან, სადაც ის მუშაობს.	– მარცვლეული და სხვა კულტურების, ბოსტნეულის, ხილის, კაკლის და თხილის, სუნელების მარცვლეტი, ყვავილების, სოკოს და კენკრის და სხვა მეხეობის კულტურების მოყვანა (მეურნეობის, ბაღის, ბოსტნის ჩათვლით); გადამუშავება შენახვის/მოხმარების მიზნით (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – მიწის მომზადება მათ შორის ხვნა, ფარცხვა, ბელტების დამუშავება, თიბვა და დაწვა (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – თესვა და რგვა ნიადაგის მომზადების, თესვის გადარგვის ჩათვლით (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – ორგანული სასუქის შეგროვება და მომზადება, ორგანული/ქიმიური სასუქების შეტანა	– სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნებისმიერი სახით შემდგომი გადამუშავება (127 ან 22), იმის გარდა, რაც საჭიროა პირველად ბაზარზე მათ გასატანად. თუმცა, პირველად ბაზარზე გასატანად პროდუქტების მომზადება ამ ნაწილშია გაერთიანებული. – მინდვრების მომზადება (მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო მიწების დატერასება, დრენაჟი და სხვ.) (128 ან 23) – 211 სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანა და ბოსტნის გაშენება საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის	– მინდვრების მორწყვა (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – ვაშლის მოკრეფა გაყიდვის მიზნით – მინდვრების მომზადება (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – მცენარეების მოვლა (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – მცენარეების შეწამლვა (მათ შორის ჰაერიდან) (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – ხეხილის და ვაზის გასხლვა (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ)

PID	ID	CID	სახელწოდება	განმარტება	შეიცავს	გამორიცხავს	მაგალითები
				– (ISIC-ის მე-4 გადასინჯვის A სექციის, 01 განყოფილებაში, 011–013 ჯგუფებში და 0161, 0163 და 0164 კლასებში აღწერილ ეკონომიკურ საქმიანობებთან დაკავშირებული აქტივობების შესრულება)	(ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – მინდვრის/ზაღის მოვლა მათ შორის ფარცხვა, მორწყვა, გასხლვა (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – მოსავლის აღება, მათ შორის შეკვრა, ლეწვა და მარცვლის გასუფთავება, ნარჩენების გაშრობა (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – მოსავლის აღების შემდგომი აქტივობები მათ შორის გაშრობა, თესლის შერჩევა, ტომრებში ჩადება და შენახვა (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ), – სხვა სასოფლო-სამეურნეო მომსახურების აქტივობები საირიგაციო არხების რუტინული შეკეთების, აღებული მოსავლის დაცვის, ინსტრუმენტების და აღჭურვილობის რუტინული შეკეთების (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) ჩათვლით – სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანასთან დაკავშირებული სხვა	– 221 პროდუქტის, სასმელის და თამბაქოს დამზადება და გადამუშავება საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის – აგრონომიული მომსახურების გაწევა (133) – ლანდშაფტის არქიტექტურით მომსახურების გაწევა (133) – სასოფლო-სამეურნეო ბაზრობაზე/შოუზე დასწრება (811) – ხილის და ბოსტნეულის შენახვა, მათ შორის ხელოვნური საშუალებებით მათი დეჰიდრაცია ბაზარზე გატანის მიზნით (127)	– ბრინჯის დარგვა (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – ჭარხლის გამოხშირვა (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – მოსავლის აღება (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) ოჯახის – ფერმაში მუშაობა (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – ტაროს/კავას მოყვანა (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ)

PID	ID	CID	სახელწოდება	განმარტება	შეიცავს	გამორიცხავს	მაგალითები
					აქტივობები (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – ეს ჯგუფი მოიცავს საახალწლო ნაძვის ხეების გამოზრდას და მათი საშენების მართვას (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ)		
1	12	122	ბაზრისთვის შინაური ცხოველების გამოზრდა ოჯახურ საწარმოში	გულისხმობს აქტივობებს, რომელიც დაკავშირებულია ბაზრისთვის ოჯახურ საწარმოში შინაური ცხოველების გამოზრდასთან და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებასთან. ეს ჯგუფი ასევე აერთიანებს შინაური ცხოველების და პროდუქტის წარმოების თანამდევ აქტივობებს, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების დამხმარე აქტივობები, როგორიცაა გამრავლებისთვის ხელის შეწყობა, გამოზრდა და ცხოველების ნამატი, ასევე ნადირობა, ხაფანგით დაჭერა და მსგავსი აქტივობები, რომლის მიზანი ხორცის, ტყავის, ბეწვის და სხვა პროდუქტის ბაზრისთვის მოპოვებაა – მეცხოველეობა განიმარტება, როგორც ცხოველების გამოზრდა (ფერმებში) და ყველა ცხოველის მოშენება, გარდა წყლის ცხოველებისა, როგორიცაა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და კამეჩები; ცხენებისა და ცხენისებრთა მოშენება; აქლემებისა და აქლემისებრთა მოშენება; ცხვრისა და თხის	– შინაური და ნახევრად მოშინაურებული ცხოველების მოშენება/მოვლა (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – წველა/წედლი რძის წარმოება (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – ტყავის გამოქნა; ბეწვეულის, რეპტილიების და ფრინველების ტყავის წარმოება ფერმებში ცხოველების მოშენების შედეგად (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – ცოცხალი ცხოველების პროდუქტების წარმოება, როგორიცაა კვერცხი, თაფლი (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – შინაური ფრინველის ინკუბატორების მართვა	– 127 საქონლის დამზადება და გადამუშავება ბაზრისთვის ოჯახურ საწარმოებში – 212 შინაური ცხოველების მოშენება და მათგან პროდუქტების წარმოება საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის – 213 ნადირობა, ნადირის ჭერა და ცხოველის ტყავის წარმოება საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის – 221 პროდუქტის, სასმელის და თამბაქოს დამზადება და გადამუშავება საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის	– მერმეული ნახირის ტესტირება (შერჩევის საფუძველზე განსაზღვრულია წველადობა და რძის წარმოების სტრუქტურა) (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გადაადგილება (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – სხვისი საქონლის მწყემსვა საკუთარ მიწაზე (საქონლის მოვლა და კვება

PID	ID	CID	სახელწოდება	განმარტება	შეიცავს	გამორიცხავს	მაგალითები
				მოშენება; ღორების/გოჭების მოშენება; მეფრინველეობა და სხვ. – ეს ჯგუფი მოიცავს რესპონდენტის მიერ დროის გარკვეულ მონაკვეთში განხორციელებულ აქტივობებს, რომლებიც შესაძლებელია განსხვავდებოდეს იმ დაწესებულების ძირითადი საქმიანობისგან, სადაც ის მუშაობს. – (ISIC-ის მე-4 გადასინჯვის A სექციის, 01 განყოფილებაში, 014 და 017 ჯგუფებში და 0162 კლასში აღწერილ ეკონომიკურ საქმიანობებთან დაკავშირებული აქტივობების შესრულება)	(ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – ცხოველებზე ნადირობა და ხაფანგით ჭერა (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – პირუტყვისთვის საკვების შეგროვება; საჭმლის მომზადება; კვება, წყლის მიწოდება; სამოვარზე საბალახოდ გაშვება (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – მოვლა, ჩლიქზე ნალის მიჭედება, გასუფთავება (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – ფარდულების და საქათმეების გარეცხვა (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – ცხოველების (მათ შორის საჯიშე) მოშენებასთან დაკავშირებული აქტივობები (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – კვერცხის შეგროვება, შენახვა და დახარისხება (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – ტყავის გამოქნა; ტყავის წარმოება ფერმებში	– რძის გადამუშავება (127 ან 221) – წყლის ცხოველების წარმოება (124, 125 ან 216, 217)	ანაზღაურების სანაცვლოდ) – შინაური ფრინველის დაკოდევა (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – გალიის დასუფთავება (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – ძროხის ხელოვნური განაყოფიერება (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – მოწველილი ძროხა ა (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – გაკრეჭილი ცხვარი (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – ნაკელის მოგროვება და ნაკელის

PID	ID	CID	სახელწოდება	განმარტება	შეიცავს	გამორიცხავს	მაგალითები
					ცხოველების მოშენების შედეგად (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – ნაკელის მოგროვება და ნაკელის ბრიკეტების დამზადება (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – მეცხოველეობასთან, ცხოველური პროდუქტების წარმოებასთან, მეცხოველეობის მომსახურებასთან დაკავშირებული სხვა ცალკეული აქტივობები (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ)		ბრიკეტების დამზადება (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ)
1	12	123	მეტყევეობა და ხე-ტყის დამზადება ბაზრისთვის ოჯახურ საწარმოებში	გულისხმობს აქტივობებს, რომელიც დაკავშირებულია მორების წარმოებასთან, ასევე ტყეში ველურად გაზრდილი არა ხე-ტყის მასალა, რომელიც გამიზნულია ბაზრისთვის ოჯახურ საწარმოში. ხე-ტყის წარმოების გარდა, სატყეო აქტივობები ქმნის პროდუქტებს, რომლებიც გადიან მცირე გადამუშავებას, როგორიცაა შეშა, ნახშირი, ხის მულჩა და მორებს, რომლებიც გამოიყენება დაუმუშავებელ მდგომარეობაში (მაგალითად, საყრდენი ბოძკინტი, ქაღალდის წარმოებაში გამოსაყენებელი თხელი მერქანი და სხვ.). ეს აქტივობები შეიძლება განხორციელდეს ბუნებრივ და ხელოვნურად გაშენებულ ტყეებში. ეს ჯგუფი ასევე მოიცავს	– მეტყევეობა და სხვა მსგავსი აქტივობები: საშენი ხე-ტყის გაზრდა (დარგვა, ხელახლა დარგვა, გადარგვა, გამეჩხერება და ტყის და ტყის მონაკვეთების დაცვა), ბუჩქნარის გაზრდა, რბილი მერქნის და საწვავი შეშის, ტყის ხეების საშენების მართვა (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – ხე-ტყის დამზადება: მორების წარმოება სატყეო მრეწველობისთვის, მორების წარმოება გადაუმუშავებელი ფორმით ბოძკინტების,	– 214 მეტყევეობა და ხე-ტყის დამზადება საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის – 215 გარეული პროდუქტების მოგროვება საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის – 241 შეშის და სხვა ბუნებრივი პროდუქტების შეგროვება, საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის	– ხის ჭრა (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – მოსაჭრელი ხეების ადგილმდებარეობის განსაზღვრა (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – ტყის მასივების აღდგენა, ტყის ხეების გაზრდა, ხის ტყეების ხელახლა დარგვა

PID	ID	CID	სახელწოდება	განმარტება	შეიცავს	გამორიცხავს	მაგალითები
				მომსახურებას, რომელიც უკავშირდება მეტყვეობას და ხე-ტყეს დამზადებას. – ეს ჯგუფი მოიცავს რესპონდენტის მიერ დროის გარკვეულ მონაკვეთში განხორციელებულ აქტივობებს, რომლებიც შესაძლებელია განსხვავდებოდეს იმ დაწესებულების ძირითადი საქმიანობისგან, სადაც ის მუშაობს. – (აქტივობები, რომლებიც აღწერილია ISIC rev. 4 სექციაში A, განყოფილებაში 02, მეტყვეობა და ხე-ტყის მომზადება დადგენილი ეკონომიკური აქტივობების შესაბამისად).	ღობების საყრდენების და ტექნიკური დანიშნულების ჯობებისთვის, საწვავი შეშის შეგროვება და წარმოება ბაზრისთვის, ნახშირის წარმოება ტყეში (ტრადიციული მეთოდებით) (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – ტყეში არა ხე-ტყის პროდუქტების და სხვა მცენარეების შეგროვება, რომელიც ველურ პირობებში იზრდება: სოკო, ტრუფელი, კენკრა, კაკალი, ბალატი და სხვა კაუჩუკისმაგვარი ფისები, კორპის, შელაკის და სხვა ფისები, ბალზამები, მცენარეული ბოჭკო, ზღვის ბალახი, რკო, ცხენის წაბლი, ხავსები და ლიქენები და სხვ. (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – მეტყვეობის დამხმარე მომსახურება საქმიანობის განხორციელების მიზნით: სატყეო ფონდის ინვენტარიზაცია, სატყეო მეურნეობის მართვის სფეროში საკონსულტაციო	საწვავად გამოსაყენებლად – საახალწლო ნაძვის ხეების გამოზრდა ბაზრისთვის (121) – ხის საშენების საქმიანობა (121 ან 211) – სოკოს ან ტრუფელის, კენკრის ან კაკლის მოშენება (მეურნეობა) (121)	(ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ)

PID	ID	CID	სახელწოდება	განმარტება	შეიცავს	გამორიცხავს	მაგალითები
					მომსახურება, ტყის შეფასება, ტყის ხანძრებთან ბრძოლა და მათგან დაცვა, ტყის მავნებლებთან ბრძოლა, მორების ტრანსპორტირება ტყეში (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ)		
1	12	124	მეთევზეობა ოჯახურ საწარმოში ბაზრისთვის	გულისხმობს ოჯახურ საწარმოში ძირითადად ბაზრისთვის გამიზნულ აქტივობებს, მაგალითად, ნადირობა, შემგროვებლური საქმიანობა, რომლის მიზანი არის წყლის გარეული ორგანიზმების (ძირითადად თევზი, მოლუსკები და კიბოსნაირები), მცენარეების ჩათვლით, ამოღება ან შეგროვება ოკეანეში, სანაპირო ზოლში და შიგა წყლებში ადამიანის მიერ მოხმარებისა და სხვა მიზნებისთვის ხელით ან უფრო ხშირად სხვადასხვა ტიპის სათევზაო აღჭურვილობით, როგორიცაა ბადეები, ტრალეები და თევზსაჭერი კალათები. მსგავსი აქტივობები შეიძლება ჩატარდეს სანაპირო ზოლზე (მაგალითად, მოლუსკების შეგროვება, როგორიცაა მიდიები და ხამანწყები) მიქცევა-მოქცევის ხაზზე ან ნაპირიდან ბადეების დაყენებით, ან სახლში დამზადებული კანოედან, ან უფრო ხშირად ქარხნული წარმოების მცირე ზომის ხომალდებიდან, სანაპირო ან ნაპირიდან მოშორებულ წყლებში.	– სარეწაო თევზჭერა ზღვაში და მტკნარ წყლებში (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – თევზის, წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმების და პროდუქტების ჭერა (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – ზღვის მასალების მოგროვება, როგორიცაა ბუნებრივი მარგალიტი, ღრუბელი, მარჯანი, წყალმცენარეები, ნიჟარები (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – თევზჭერასთან დაკავშირებული სხვა კონკრეტული აქტივობები (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ)	– 122 ბაზრისთვის შინაური ცხოველების გამოზრდა ოჯახურ საწარმოში – 125 აკვაკულტურა ბაზრისთვის ოჯახურ საწარმოში – 127 საქონლის დამზადება და გადამუშავება ბაზრისთვის ოჯახურ საწარმოებში – 213 ნადირობა, ნადირის ჭერა და ცხოველის ტყავის წარმოება საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის – 216 თევზჭერა საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის – 217 აკვაკულტურით საქმიანობა საკუთარი	– კომერციული მიზნებისთვის ოკეანეში და სანაპირო წყლებში თევზჭერა (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – შეგროვებული ზღვის კიბოსნაირები და მოლუსკები (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – შეგროვებული წყლის ცხოველები: კუ, ასციდიები, გარსიანები, ზღვის ზღარბი და სხვ. (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ)

PID	ID	CID	სახელწოდება	განმარტება	შეიცავს	გამორიცხავს	მაგალითები
				– ეს ჯგუფი მოიცავს რესპონდენტის მიერ დროის გარკვეულ მონაკვეთში განხორციელებულ აქტივობებს, რომლებიც შესაძლებელია განსხვავდებოდეს იმ დაწესებულების ძირითადი საქმიანობისგან, სადაც ის მუშაობს. – (აქტივობები, რომლებიც აღწერილია ISIC rev. 4, სექციაში A, განყოფილებაში 03, თევზჭერა)		საბოლოო მოხმარებისთვის – 221 სასურსათო პროდუქტების, სასმელის და თამბაქოს დამზადება და გადამამუშავება საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის – წყლის ძუძუმწოვრების ჭერა, გარდა ვეშაპებისა მაგალითად, ლომვეშაპების, სელაპების (122 ან 213) – თევზის, კიბოსნაირების და მოლუსკების გადამამუშავება მცურავ ან სახმელეთო ქარხნებში (127) – მცირე ზომის ხომალდების და აღჭურვილობის შეკეთება, მოვლა და ტექნიკური მომსახურება (132) – გემების და მცირე ზომის ხომალდების აშენება და შეკეთება (127 ან 22)	

PID	ID	CID	სახელწოდება	განმარტება	შეიცავს	გამორიცხავს	მაგალითები
						– თევზის, კიბოსნაირების და მოლუსკების გადამუშავება (127 ან 227)	
1	12	125	აკვაკულტურა ბაზრისთვის ოჯახურ საწარმოებში	მოიცავს ისეთ აქტივობებს, რომელთა ძირითადი მიზანია ბაზარზე გატანა ოჯახურ საწარმოებში კულტივირებული, მოშენებული წყლის ორგანიზმების (თევზი, მოლუსკები, კიბოსნაირები, მცენარეები, ნიანგები, ალიგატორები და ამფიბიები) იმ მეთოდების გამოყენებით, რომელიც შექმნილია ორგანიზმების გარემოს ბუნებრივ შესაძლებლობებთან შედარებით შესაბამისი ორგანიზმების აღწარმოების მოცულობის გაზრდისთვის (მაგალითად, მტაცებლებისგან მუდმივი დაცვა, კვება). კულტივირება/მოყვანა გულისხმობს ზემოხსენებული ორგანიზმების გარკვეულ ასაკამდე/ეტაპამდე დახშულ გარემოში გაზრდას. – აკვაკულტურა ან აკვამეურნეობა – ეს ჯგუფი მოიცავს რესპონდენტის მიერ დროის გარკვეულ მონაკვეთში განხორციელებულ აქტივობებს, რომლებიც შესაძლებელია განსხვავდებოდეს იმ დაწესებულებების ძირითადი საქმიანობისგან, სადაც ის მუშაობს.	– თევზის მოშენება (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – ზღვის აკვაკულტურა და მტკნარი წყლის აკვაკულტურა (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – თევზის/წყალმცენარეების ან ცხოველების მოშენება: გამოყვანა, მოვლა (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – თევზის/წყალმცენარეების ან ცხოველების მოშენება: დასუფთავება, კვება (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – სხვა გარკვეული აქტივობები, დაკავშირებული თევზის/წყალმცენარეების ან ცხოველების მოშენებასთან (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ)	– 122 ბაზრისთვის შინაური ცხოველების გამოზრდა ოჯახურ საწარმოებში – 124 ბაზრისთვის მეთევზეობა ოჯახურ საწარმოებში – 127 ბაზრისთვის საქონლის დამზადება და გადამუშავება ოჯახურ საწარმოებში – 213 ნადირობა, ნადირის ჭერა და ცხოველის ტყავის წარმოება საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის – 216 მეთევზეობა, საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის – 217 აკვაკულტურა, საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის – 221 სასურსათო პროდუქციის, სასმელის და თამბაქოს დამზადება და	– შემოწმებული თევზის ინკუბატორი (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – შემოწმებული ზღვის ჭიების ფერმა (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – მოშენებული ბაყაყები (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ)

PID	ID	CID	სახელწოდება	განმარტება	შეიცავს	გამორიცხავს	მაგალითები
				(აქტივობები, რომლებიც აღწერილია ISIC rev. 4, სექციაში A, განყოფილებაში 03, ჯგუფში 032 აკვაკულტურა).		გადამუშავება საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის – წყლის ძუძუმწოვრების ჭერა, გარდა ვეშაპებისა. მაგალითად, ლომვეშაპების, სელაპების (122 ან 213) – თევზის, კიბოსნაირების და მოლუსკების გადამუშავება მცურავ ან სახმელეთო ქარხნებში (127) – სათევზაო ნაგებისა და აღჭურვილობის შეკეთება, მოვლა და ტექნიკური მომსახურება (132) – გემებისა და ნაგების აშენება და შეკეთება (127 ან 22) – თევზის, კიბოსნაირების და მოლუსკების გადამუშავება (127 ან 227)	
1	12	126	სამთო-მოპოვებითი მრეწველობა და	ეხება აქტივობებს, რომელიც ძირითადად გამიზნულია ოჯახურ საწარმოს ბაზრებისთვის და მოიცავს ბუნებრივად,	– მარილის მოპოვება/ამოღება	– 218 სამთო-მოპოვებითი მრეწველობა და	– შეგროვებულ გადაუმუშავებელი

PID	ID	CID	სახელწოდება	განმარტება	შეიცავს	გამორიცხავს	მაგალითები
			კარიერების დამუშავება ბაზრისთვის ოჯახურ საწარმოებში	მყარი ფორმით ხელმისაწვდომი მინერალების მოპოვება (ქვანახშირი და მადნეული). მოპოვება შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა მეთოდით როგორცაა მიწისქვეშა ან ღია წესით მოპოვება, ჭეხის ექსპლუატაციით, ზღვის ფსკერზე მოპოვება და ა.შ. ამ ჯგუფში შედის ასევე დამატებითი აქტივობები, რომელთა მიზანი არის ნედლეულის გასასაღებლად მომზადება, მაგალითად, დამტვრევა, დაფქვა, გასუფთავება, გაშრობა, დახარისხება, მადნეულის კონცენტრატების დამზადება და მყარი საწვავის დამზადება. ეს აქტივობები ხშირად ხორციელდება იმ ერთეულების მიერ, რომლებმაც მოიპოვეს რესურსი და/ან სხვების მიერ, რომლებიც ახლოს არიან განთავსებულნი. – ეს ჯგუფი მოიცავს რესპონდენტის მიერ დროის გარკვეულ მონაკვეთში განხორციელებულ აქტივობებს, რომლებიც შესაძლებელია განსხვავდებოდეს იმ დაწესებულებების ძირითადი საქმიანობისგან, სადაც ის მუშაობს. (ISIC rev. 4 სექციაში B სამთო-მოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება, დადგენილი ეკონომიკური აქტივობების შესაბამისად).	(ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – ჭის გათხრა, ხვრელის ბურღვა და ა.შ. (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ); – ქვის ფილების მოპოვება (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – ქვების მონგრევა და დამსხვრევა (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – თიხის, ხრეშის და ქვიშის ამოღება (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – ტორფის მოპოვება (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – ოქროს რეცხვა და ძვირფასი და ნახევრადძვირფასი ქვების მოპოვება (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – ტრანსპორტირება, დახარისხება და დასაწყობება (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების სხვა აქტივობები	კარიერების დამუშავება საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის – დამუშავებული ლითონების დამზადება ბაზრისთვის (127)	მარილი გასაყიდად – ამოთხრილი / გამაგრებული ოპალის მადარო, „ნუდლინგი“ (მიტოვებულ მადაროში „კუდებში“ ოპალის ხელით მოძებნა) (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – მოპოვებული ტორფი (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ)

PID	ID	CID	სახელწოდება	განმარტება	შეიცავს	გამორიცხავს	მაგალითები
					(ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ)		
1	12	127	საქონლის დამზადება და გადამუშავება ბაზრისთვის ოჯახურ საწარმოებში	ეხება აქტივობებს, რომელიც უკავშირდება პროდუქტების/საქონლის ძირითადად ბაზრისთვის ოჯახურ საწარმოებში წარმოებას და გადამუშავებას. – ეს ჯგუფი მოიცავს რესპონდენტის მიერ დროის გარკვეულ მონაკვეთში განხორციელებულ აქტივობებს, რომლებიც შესაძლებელია განსხვავდებოდეს იმ დაწესებულების ძირითადი საქმიანობისგან, სადაც ის მუშაობს. – (ISIC rev. 4 სექციაში C დამამუშავებელი მრეწველობა, 33-ე განყოფილების გარეშე, დადგენილი ეკონომიკური აქტივობების შესაბამისად).	– საკვები პროდუქტების, სასმელის, თამბაქოს დამზადება, გადამუშავება (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – ტექსტილის, ტანსაცმლის, ტყავის და მსგავსი პროდუქტების და ხელნაკეთი ნივთების დამზადება, გადამუშავება (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – ხის და ხის ქერქის პროდუქტებისა და ხელნაკეთი ნივთების დამზადება, გადამუშავება (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – აგურის, ბეტონის ფილების, ღრუ ბლოკის, ფილების და აშ დამზადება, გადამუშავება (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – მცენარეული და სამედიცინო ნარევების დამზადება, გადამუშავება (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ)	– 22 საქონლის დამზადება და გადამუშავება საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის – 128 სამშენებლო აქტივობები ბაზრისთვის ოჯახურ საწარმოებში – 23 სამშენებლო აქტივობები საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის	გასაყიდად გადამუშავებული რძე – გასაყიდად დამზადებული საპონი – გასაყიდად დამზადებული სანთელი – გასაყიდად დამზადებული ხელოვნების – ოჯახურ საწარმოში გასაყიდად დამზადებული ტრადიციული მცენარეული მედიკამენტები – სახლში გასაყიდად დამზადებული ტანსაცმელი

PID	ID	CID	სახელწოდება	განმარტება	შეიცავს	გამორიცხავს	მაგალითები
					– ლითონის და ლითონის პროდუქტების, სამუშაო იარაღების დამზადება და გადამუშავება, აპარატურის, ავტომობილების შეკეთება და დამონტაჟება და სხვ. (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ) – სხვადასხვა მასალის გამოყენებით ხელნაკეთი ნივთების დამზადება (ანაზღაურების ან მოგების სანაცვლოდ)		
